VIII თავი

კვალიფიკაციის მინიჭება და დიპლომის გაცემა

აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის სტანდარტული დანართით გაცემის პროცესი რეგულირდება ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებისათვის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის N111 დადგენილებით (წინამდებარე გზამკვლევის **დანართი N2**), ხოლო დოქტორანტურის სტუდენტებისათვის „ბსუ-ს დოქტორანტურის დებულებ ის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 05 აპრილის N19 დადგენილებით (წინამდებარე გზამკვლევის **დანართი N20**).

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ვადის დასრულების შემდეგ, ფაკულტეტის დეკანი უზრუნველყოფს კომისიური წესით კურსდამთავრებულთა პირადი საქმეების შესწავლას, მათ მიერ პროგრამის მოთხოვნების შესრულების ფაქტის დადგენის მიზნით, ხარვეზების არსებობის შემთხვევაში სტუდენტს აძლევს გამოსწორებისათვის აუცილებელ ვადას და საჭირო რეკომენდაციებს.

პირს, რომელიც სრულად შეასრულებს საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნებს, ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით ენიჭება შესაბამისი აკადემიური ხარისხი, რაც დაუყონებლივ აისახება საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში, ხოლო ბსუ-ს რექტორი გამოსცემს ბრძანებას ამ სტუდენტისათვის დიპლომის შესაბამისი სტანდარტული დანართით გაცემის შესახებ. ფაკულტეტის ადმინისტრაცია ამზადებს დიპლომის სტანდარტულ დანართს, რომელიც გაიცემა დიპლომთან ერთად, ბსუ-ს სასწავლო პროცესის დეპარტამენტის დიპლომების გაცემისა და რეესტრის სამსახურის მიერ.

საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომში/პროექტში აღმოჩენილი აკადემიური სიყალბის (პლაგიატის) დადასტურების შემთხვევაში, ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით გაბათილდება ამ სტუდენტისათვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილება, რაც დიპლომის გაცემის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანების გაუქმების საფუძველია.

დოქტორის აკადემიურ ხარისხს (Ph.D) ბსუ-ს დოქტორანტს ანიჭებს შესაბამისი ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო, ამ საბჭოს დებულებისა და „ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 5 აპრილის № 19 დადგენილების საფუძველზე. დებულების მე-15 მუხლის თანახმად, დოქტორის დიპლომი სტანდარტულ დანართთან ერთად გაიცემა დისერტაციის გამოქვეყნების შემდეგ. დოქტორანტი ვალდებულია დისერტაციის დაცვის შემდეგ, ფაკულტეტის მიერ დადგენილ ვადაში (1–3 თვე) გამოაქვეყნოს

დისერტაცია ბეჭდური ან ელექტრონული ფორმით. დისერტაცია ელექტრონული ფორმით უნდა გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.